

gamoyenebis instrucia
ლუგოლის ხსნარი გლიცერინით
(LUGOL SOLUTION WITH GLYCERIN)

სამკურნალო საშუალების შემადგენლობა:

აქტიური ნივთიერება: 1გ ხსნარი შეიცავს: 10 მგ იოდს, კალიუმის იოდიდს 20 მგ;

დამხმარე ნივთიერებები: გლიცერინი, გასუფთავებული წყალი.

წამლის ფორმა: გარეგანი გამოყენების ხსნარი;

ხსნარი სიროფის მაგარი, წითელი - რუხი ფერის იოდის სუნით;

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პრეპარატები, რომელიც გამოიყენება ყელის დაავადებების დროს. **ათქ კდი:** R02A A20.

ლუგოლის ხსნარს გლიცერინით გააჩნია ბაქტერიციდული მოქმედება მასში შემავალი თავისუფალი იოდის გამო. პრეპარატს ახასიათებს ანტიმიკრობული მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, მათ შორის სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, ნაწლავურ ჩხირზე, კლებსიელაზე, ვულგალურ პროტეიზე;

ჩვენება: ხახისა და ხორხის ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესები: ლარინგიტი, ტონზილიტი, ფარინგიტი.

უკუჩვენება: პრეპარატში შემავალი კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობა. თირკმლისა და ღვიძლის მძიმე დაავადებები. ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდი. ბავშვთა ასაკი 5 წლამდე.

შესაბამისი უსაფრთხოების ზომები გამოყენებისას: დაუშვებელია პრეპარატის თვალში მოხვედრა; არ დაარღვიოთ პრეპარატის გამოყენების წესები, ასეთმა ქმედებამ შეიძლება ავნოს თქვენს ჯანმრთელობას.

განსაკუთრებული სიფრთხილე:

გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის დროს

პრეპარატის გამოყენება უკუნაჩვენებია ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში.

გავლენა ტრანსპორტისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე: გავლენას არ ახდენს.

ბავშვები: 5 წლამდე ასაკის ბავშვებში პრეპარატის გამოყენება რეკომენდებული არ არის.

მიღების წესი და დოზირების რეჟიმი:

გარეგანი გამოყენებისთვის!

პრეპარატით დატენიანებული ტამპონით ხდება სახისა და ხორხის ლორწოვანი გარსის დაზიანებული ადგილების დამუშავება 3-4 ჯერ დღეში.

მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობასა და სიმძიმეზე.

ჭარბი დოზირება:

შესაძლებელია იოდოზიმის განვითარება (რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ცრემლიანობა, ნერწყვდენა, გამონაყარი, კუნთების მოდუნება, შენელებული რეაქცია).

მკურნალობა: პრეპარატის მიღების შეწყვეტა და სიმპტომური თერაპია.

გვერდითი მოვლენები: ხანგრძლივი გამოყენებისას შესაძლებელია იოდოზიმის განვითარება (სურდო, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ცრემლდენა, ნერწყვდენა, გამონაყარი კანზე, კუნთების სისუსტე, შენელებული რეაქცია).

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება და სხვა სახის ურთიერთქმედებები:

არ გამოიყენოთ ერთდროულად წყალბადის ზეჟანგთან და სხვა მადენზიფიცირებელ საშუალებებთან.

ვარგისობის ვადა:

3 წელი;

არ გამოიყენოთ შეფუთვაზე მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ.

შენახვის პირობები: ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილზე არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

შეფუთვა: 25 გ ფლაკონებში.

გაცემის რეჟიმი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებლის დასახელება და ადგილმდებარეობა მწარმოებელი

დსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაის ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>.